



მნიშვნელოვანი შეტყობინება

საერთაშორისო დაცვის სამსახური განაცხადებს ამუშავებს ორ
სხვადასხვა მისამართზე:

ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვ(ებ)ი და რომელთა ყველა წევრი იმყოფება ადგილზე ერთსა და იმავე დღეს, უნდა გამოცხადდნენ შემდეგ მისამართზე:
Citywest Convention Centre, Garter Lane, Saggart, Co. Dublin, D24 KF8A

(სითიუესტის კონვენციის ცენტრი, გარტერის ლეინი, საგარტი, დუბლინის საგრაფო, D24 KF8A)

ასევე, შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებმა უნდა მიმართონ Citywest Convention Centre (სითიუესტის კონვენციის ცენტრი)-ს ზემოთ მითითებულ მისამართზე:
ალბანეთი, ალჟირი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოტსვანა, ბრაზილია, ეგვიპტე, საქართველო, ინდოეთი, კოსოვო, მალავი, მონტენეგრო, მაროკო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი და სამხრეთ აფრიკა.

დანარჩენი ყველა განმცხადებელი, მათ შორის ისინიც, ვინც უკვე დარეგისტრირებულია ან არეგისტრირებს დამოკიდებულ პირს, უნდა გამოცხადდნენ შემდეგ მისამართზე:

Timberlay House, 78–83 Lower Mount Street, Dublin 2, D02 ND99

(ტიმბერლეი ჰაუსი, 78–83 ლოურ მოუნტ სტრიტი, დუბლინი 2, D02 ND99)



იუსტიციის, შინაგან საქმეთა და მიგრაციის დეპარტამენტი

სად და როდის შეგიძლია განაცხადის რეგისტრაცია?

ოჯახები, რომლებსაც თან ახლავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვ(ებ)ი, მიმართონ Citywest-ს, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 08:00 საათიდან 14:30 საათამდე.

ასევე, შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებმა უნდა მიმართონ Citywest-ს, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 08:00 საათიდან 14:30 საათამდე:

ალბანეთი, ალჟირი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოტსვანა, ბრაზილია, ეგვიპტე, საქართველო, ინდოეთი, კოსოვო, მალავი, მონტენეგრო, მაროკო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი და სამხრეთ აფრიკა.

ყველა სხვა განმცხადებელი მიმართავს Timberlay House-ს, Lower Mount Street, Dublin 2 (ტიმბერლეი ჰაუსი, 78-83 ლოურ მთუნთ სტრიტი, დუბლინი 2), ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00 საათიდან 14:30 საათამდე.

რა უნდა მივიტანო თან?

- ოფიციალური დოკუმენტები, როგორცაა პასპორტი და/ან დაბადების მოწმობა
- საჭირო ნივთები შენთვის და შენი ოჯახის წევრებისთვის, მაგალითად წასახემსებლები, მედიკამენტები და ა.შ.

რა პროცედურები ჩატარდება თითოეულ ლოკაციაზე?

- თითის ანაბეჭდების აღება
- ფოტო გადაღება
- თარჯიმნობის სერვისის უზრუნველყოფა
- განაცხადის ფორმების შევსება
- დროებითი საცხოვრებლის ბარათის მიცემა, თუ განაცხადი წარმატებული იქნება
- განსახლების უზრუნველყოფა, საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის განსახლების სამსახური(IPAS)-ის მეშვეობით